ქვეპროგრამის დასახელება: <u>სერვის ცენტრებში ბარათების დამზადება (ინიციალიზაცია)</u>

რა არის ქვეპროგრამის არსი?

მეტროთი და ავტოტრანსპორტით მგზავრობის შეღავათიანი საფასურით სარგებლობისთვის, ასევე, უფასო სასადილოების მომსახურების მისაღებად, უკონტაქტო პლასტიკური ბარათების შესყიდვა, ინიციალიზაცია და გაცემა. ბენეფიციარებზე პლასტიკური ბარათების გასაცემად სერვის ცენტრის საჭირო მასალით უზრუნველყოფა;

ვინ არიან ქვეპროგრამის ბენეფიციარები?

ქვეპროგრამის ბენეფიციარები არიან ქ.თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრებ მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიები. მათ შორის, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70 000 და დაბალი სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული პირები.

რას მოიცავს ქვეპროგრამა?

- ავტობუსით და მეტროთი მგზავრობის გადასახადი - 0,1 ლარი
- შეღავათი მიკროავტობუსით მგზავრობის შემთხვევაში - 50%

როგორ უნდა მიიღოს პირმა ბენეფიტი?

მეტროთი და ავტოტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობით სარგებლობის უფლების მქონე პირებმა ბარათის ასაღებად უნდა მიმართონ სერვის ცენტრს, მისამართი: ა. მიცკევიჩის ქ.N29. უფასო სასადილოების ბენეფიციარებმა ბარათის ასაღებად უნდა მიმართონ თბილისში რეგისტრაციის ადგილის მიხედვით რაიონულ გამგეობებს.